InterPressNews 30.08.2020

Soil drying channels were cleaned up in the village of Tikeri

LTD “Georgian Amelioration” conducts active drainage and irrigation infrastructure renovation works in the village of Tikeri.

As InterPressNew was told from “Georgian Amelioration,” to drain the unneeded water and moisture from the farmland, massive work was done in Kobuleti Municipality.

1,5km-long water collectors and channels were cleaned up in the village of Tikeri, the 5 000 meter space between channels was added and kept for the future. “Georgian Amelioration” works covered 15 hectares of the territory.

As “Georgian Amelioration” company representatives said, as a result of these works even heavy precipitation will not be able to flood vast territories of cropland in Kobuleti municipality.

სოფელ თიკერის დამშრობი სისტემა გაიწმინდა

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სადრენაჟე და საირიგაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს მელიორაციიდან“ აცნობეს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჭარბი წყლის მოცილების მიზნით, დამშრობ მასივზე გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა.

სოფელ თიკერში ხე-მცხენარეებისა და ნატანი მასისგან საერთო სიგრძით 1,5 კმ კოლექტორები და შემკრები არხები გაიწმინდა, მოეწყო კვალთაშორისი ორნატები 5 000 გრძივი მეტრი.

სამელიორაციო ღონისძიებები 15 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდა. როგორც „საქართველოს მელიორაციაში“ განმარტავენ, სამუშაოების შედეგად, უხვი ნალექის შემთხვევაში, დამშრობი მასივის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები არ დაიტბორება.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/616092-gorshi-kvernakis-dasaxlebis-ucqveti-cqalmomaragebistvis-sachiro-samushaoebze-tenderi-gamocxadda

InterPressNews 2.09.2020

In the Kvernaki settlement of Gori a tender was announced to reveal a winner company to carry out non-stop water supply system

United Water Supply System of Georgia announced a tender to reveal a company which will rehabilitate the water supply system in the Kvernaki settlement of Gori. The deadline for the application ends on September 11.

The winning company has to finish all the work in five months after signing the contract.

According to them, the reservoir that supplies the Kvernaki settlement, was built in 1965 and has not been rehabilitated since. All the current pipes are dysfunctional, the settlement gets water supply only 8 hours a day.

The current works include the rehabilitation of the old reservoir and replacing the old pipes totally with new ones, after which water meters will be introduced to the settlement.

The budget of the project is 380 000 GEL. After its completion, 700 of Kvernaki dwellers will switch to non-stop water supply systems.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/616092-gorshi-kvernakis-dasaxlebis-ucqveti-cqalmomaragebistvis-sachiro-samushaoebze-tenderi-gamocxadda

iPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

გორში, კვერნაკის დასახლების უწყვეტი წყალმომარაგებისთვის საჭირო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, ქალაქ გორში, კვერნაკის დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების მიღების ვადა 11 სექტემბერს იწურება. გამარჯვებულმა კომპანიამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთ თვეში უნდა დაასრულოს.

მათივე ინფორმაციით, რეზერვუარი, რომელიც კვერნაკის დასახლებას წყლით ამარაგებს, 1965 წელს არის აგებული და მას შემდეგ ობიექტის რეაბილიტაცია არ ჩატარებია. სრულად ამორტიზებულია არსებული მილები, მოსახლეობას წყალი დღის განმავლობაში 8 საათით მიეწოდება.

სამუშაოები ითვალისწინებს არსებული რეზერვუარის რეაბილიტაციას და ძველი, ამორტიზებული მილების ახლით ჩანაცვლებას, გამრიცხველიანდება მოსახლეობა.

პროექტის დასრულების შემდეგ კვერნაკის დასახლებაში მცხოვრები 700-მდე ადგილობრივი უწყვეტ წყალმომარაგებაზე გადავა. სამუშაოებს 380 000 ლარზე მეტი მოხმარდება.

InterPressNews 3.09.2020

The village of Kvemo Bolnisi dwellers will have new water infrastructure soon

United Water Supply Company announced a tender to reveal a winner company to rehabilitate water distribution supply pipes. According to the water supply company, the application deadline is September 11th.

The winning company has to finish all the work in five months after signing the contract.

According to the company, currently Kvemo Bolnisi dwellers get water only for 6-7 hours a day, and because of the damaged infrastructure water is lost during transportation; oftentimes it does not function well and villagers are left without water.

According to the company, the project entails works with water distribution pipes, change the pumping station pipes from the starting point to the villagers and replace old pipes with new. According to the company, the budget of the project is 200,000 GEL. After its completion, 3 500 residents of Kvemo Bolnisi will benefit from it with new water infrastructure, improved water quality and supply system.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/616281-sopel-kvemo-bolnisis-mosaxleoba-cqlis-ganaxlebuli-inprastrukturit-isargeblebs

iPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

სოფელ ქვემო ბოლნისის მოსახლეობა წყლის განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, სოფელ ქვემო ბოლნისში არსებული წყალსადენის მკვებავი მილის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ტენდერი გამოაცხადა.

წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების მიღების ვადა 11 სექტემბერს იწურება. გამარჯვებულმა კომპანიამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ თვეში უნდა დაასრულოს.

როგორც წყალმომარაგების კომპანიაში აცხადებენ, ამჟამად ქვემო ბოლნისში მოსახლეობას წყალი ყოველდღიურად - 6-7 საათით მიეწოდება, თუმცა, ამორტიზებული ინფრასტრუქტურის გამო, ხშირია წყლის დანაკარგებისა და ქსელის დაზიანების შემთხვევები, რაც წყალმომარაგების შეზღუდვას იწვევს.

მათი ცნობით, პროექტი ითვალისწინებს წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებულ სამუშაოებს, მილსადენის შეცვლას სატუმბი სადგურიდან სოფელ ბოლნისში მდებარე გამანაწილებელ კვანძამდე და ძველი, ამორტიზებული მილების ახლით ჩანაცვლებას.

კომპანიის ცნობით, პროექტის დასრულების შემდეგ სოფელ ქვემო ბოლნისში მცხოვრები 3 500-მდე ადგილობრივი წყლის განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს, გაუმჯობესდება წყლის ხარისხი და მიწოდების გრაფიკი. სამუშაოებს 200,000.00 ლარამდე მოხმარდება.

NS

გაზიარება 0

InterPressNews 4.09.2020

24 000 subscribers of the water amelioration company were waived of the 2020 tax, the savings accounted for 2 955 139 GEL

To reduce the economic harm in Agriculture sphere and stimulate economy caused by COVID-19, the anti-crisis plan was created as part of the plan called “stimulus package for village and farmers” entails an important subsidiaries in the direction of the modernization.

As InterPressNews was informed from Georgian Amelioration company, farmers, who use irrigation and drainage service for up to 10 hectares of cropland, will be waived of the water tax.

According to the company, as of September 4, thanks to this government subsidy, 24 000 subscribers were freed from the tax. The beneficiaries’ savings accounted for 2 955 139 GEL.

As part of this anti-crisis plan, all the subscribers of the Georgian Amelioration were waived of the 2020 debts as well.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/616511-samelioracio-momsaxurebis-2020-clis-gadasaxadisgan-24-000-abonenti-gatavisuplda-danazogma-2-955-139-lari-sheadgina

iPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხეც

საზოგადოება 04.09.2020 / 11:26

სამელიორაციო მომსახურების 2020 წლის გადასახადისგან 24 000 აბონენტი გათავისუფლდა, დანაზოგმა 2 955 139 ლარი შეადგინა

საქართველოს მელიორაცია GEORGIAN AMELIORATION

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით შემუშავებული სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა “ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე”, მელიორაციის კუთხით მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მელიორაციიდან აცნობეს, ფერმერები, რომლებიც ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებას 10 ჰა-მდე მიწის ფართობზე იღებენ, 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან თავისუფლდებიან.

მათივე ინფორმაციით, 4 სექტემბრის მონაცემებით, დაწესებული სახელმწიფო შეღავათით ისარგებლა და 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან გათავისუფლდა 24 000 აბონენტი. ბენეფიციართა დანაზოგმა 2 955 139 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, წყალმომხმარებლებს სრულად ჩამოეწერათ 2020 წლამდე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება.

NS

გაზიარება 1

InterPressNews

4.09.2020

Georgian Water and Power - GWP, a water distribution company in Tbilisi, conducts rehabilitation work on Batumi street

GWP company conducts all the work in accordance with all the recommendations.

The company does one of its works in Didube district, on Batumi street, to rehabilitate water collection work.

According to the project, the 250-meter-long water collector system will be renovated and new wells will be cut and put into exploitation.

GWP invests 150 000 GEL in this particular rehabilitation work.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/616509-jivipi-batumis-kuchaze-cqalarinebis-kselze-sareabilitacio-samushaoebs-atarebs

საზოგადოება 04.09.2020 / 11:23

„ჯივიპი“ ბათუმის ქუჩაზე, წყალარინების ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინფორმაციით, კომპანია დედაქალაქის სტაბილური წყალმომარაგებისთვის, მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო პროექტებზე მუშაობას ყველა რეკომენდაციის დაცვითა და გათვალისწინებით აგრძელებს.

კომპანია დიდუბის რაიონში, ბათუმის ქუჩაზე, წყალარინების მაგისტრალურ ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს.

პროექტის ფარგლებში სრულად განახლდება 250 მეტრი სიგრძის ამორტიზებული წყალარინების ქსელი და ახალი საკვანძო ჭები მოეწყობა. აღნიშნულ სარეაბილიტაციო პროექტში ჯივიპი 150 ათას ლარზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს.

NS

გაზიარება 0